

მიხეილ კალანდარიშვილი

სრული პროფესორი

თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. დაიბადა **1952** წლის **11** ივლისს. **1969** წელს დაამთავრა თბილისის **50**-ე საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახ. სახემწიფო თეატრალურ ინსტიტუტში თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე (ეთერ გუგუშვილის ჯგ.), რომელიც წარჩინებით დაამთავრა **1974** წ. იყო ლენინის სახ. სტიპენდიანტი, **1973** წელს გაიმარჯვა საკავშირო სტუდენტულ ოლიმპიადაზე. **1974-1979** წ.წ. სწავლობდა ლენინგრადის თეატრის მუსიკი და კინემატოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სანდრო ახმეტელის რეჟისურაზე. ლენინგრადში სწავლის დროს ლითხულობდა ლექციების კურსს დრამის თეორიაში და ქართული თეატრის ისტორიაში. **1979** წ. დაბრუნდა თბილისში და თეატრალურ ინსტიტუტში ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას. **1993** წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე "ქართული თეატრის ძირითადი მიმართულებანი" (**XX** ს. დასაწყისი). არის ავტორი რამოდენიმე წიგნის, სტატიების კრებულებში, ენციკლოპედიის წერილების საფრანგეთში, რუსეთში, საქართველოში. **2007** წ. გამოუშვა დამხმარე სახლმძღვანელო "მოდერნიზმი ქართულ თეატრში".